

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა
და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 10

ქ.ვანი თავისუფლების N65

27 ივლისი 2018 წელი

12.00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: რამაზ არველაძე, დავით ხარბეიშვილი, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, კობა ძაგნიძე, თორნიკე ერისთავი, აპოლონ რამიშვილი.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდა: თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, ამირან ტალახაძე, გიგა გოგიბერიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

დანართი N1

მოწვეული პირი: ჯამრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი - მიხეილ სვანაძე.

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონული სამმართველოს სპეციალისტი - მადლენა კორძაძე.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **რამაზ არველაძე (კომისიის თავმჯდომარე)**

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1.,,საბრძოლო მოქმედების შედეგად დაღუპულთა ოჯახების დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N27 9 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელი: / მიხეილ სვანაძე/

2. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონული სამმართველოს 2017 წლის ანგარიში განვლილი და მიმდინარე მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: /მადლენა კორძაძე/

გადაწყვეტის: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო „საბრძოლო მოქმედების შედეგად დაღუპულთა ოჯახების დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N27 9 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, მომხსენებელმა განმარტა, რომ „საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაღუპულთა ოჯახების დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N 27 9 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

- ა) განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა ოჯახებისა და საბრძოლო მოქმედებების მონაწილე, სოციალურად დაუცველ ვეტერანთა დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“.
- ბ) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„დამტკიცდეს „საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა ოჯახებისა და საბრძოლო მოქმედებების მონაწილე, სოციალურად დაუცველ ვეტერანთა დახმარების პროგრამა“ დანართის შესაბამისად.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებებსა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე, სოციალურად დაუცველ (100 000 სარეიტინგო ქილაძე ნაკლები) ვეტერანთათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

- ა) დაღუპულ მეომართა ოჯახის წევრზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;
- ბ) სოციალურად დაუცველ (100 000 სარეიტინგო ქულაზე ნაკლები) ვეტერანზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

4. დამატებითი ინფორმაცია:

- ა) დახმარება გაცივმა დაღუპულ მეომართა ოჯახის წევრზე და საბრძოლო მოქმედებების მონაწილე, სოციალურად დაუცველ ვეტერანზე;
- ბ) დაღუპული მეომარი (გარდაცვალების მომენტში) და დახმარების მიმღები პირი რეგისტრირებული უნდა იყვნენ ვანის მუნიციპალიტეტში;
- გ) საბრძოლო მოქმედებების მონაწილე, სოციალურად დაუცველი ვეტერანი რეგისტრირებული უნდა იყოს ვანის მუნიციპალიტეტში;
- დ) დახმარების მისაღებად წარმოდგენილი უნდა იქნეს:
 - დ.ა) დაღუპული მეომარის ოჯახის წევრისგან ვეტერანობის დამადასტურებელი მოწმობა, გარდაცვალების ცნობა, დახმარების მიმღები პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან, რომ აღნიშნულ პიროვნებას დანიშნული აქვს სახელმწიფო კომპენსაცია და საბანკო რეკვიზიტები;

დ.ბ) სოციალურად დაუცველი ვეტერანისგან ვეტერანობის დამადასტურებელი მოწმობა, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველთა ერთიანი ბაზიდან (1 – 100 000) და საბანკო რეკვიზიტები;

კომისიის წევრების მხრიდან წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

მომხრე-7
წინააღმდეგი- არცერთი

/დანართი 2/

დაადგინეს:

შეტანილ იქნას ცვლილება „საბრძოლო მოქმედების შედეგად დაღუპულთა ოჯახების დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის N27 9 განკარგულებაში.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელი (სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონული სამმართველოს სპეციალისტი) ქალბატონი მადლენა კორძაძე საპატიო მიზეზის გამო ვერ გამოცხადდა და საკითხი გადაიდო მომდევნო კომისიის სხდომისთვის.

საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ რამაზ არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

რამაზ არველაძე
ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის სხდომის თავმჯდომარე